აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 114

30 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის 2008 წლის 2 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

2. №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში ამ განკარგულებით განსაზღვრულ რაოდენობის ფარგლებში დაიქირაოს არანაკლებ ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია